

სპორტული სკორტის დამოუკიდებლობისთვის

სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

საპარტევლოს სსრ ზიზიკარი კულბარია და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 ივნისი, თბილისი, 1990 წ. № 109 (10278) • ფასი 3 კპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



მსოფლიოს XIV ჩემპიონატი

ფეხბურთში

„გ“ ჯგუფი: კოსტა-რიკა — შოტლანდია 1:0 (0:0)
 „ვ“ ჯგუფი: ინგლისი — ირლანდია 1:1 (1:0)

„იტალიური კაპრიტი“

სწორედ ასე შეიძლება ეწოდოს იტალიის ქალაქებში მიმდინარე მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატის დასაწყისს, რომლის შეხვედრებაც ესოდენ დიდი ინტერესით ვაძეგნებთ თვალს ყველანი.

რატომ „კაპრიტი“? იმიტომ, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან სულ ათი-ოდე თამაში ჩატარდა და გათამაშების ცხრილები უკვე აკრულდა ყოველად მოულოდნელი, „უპროგნოზო“ ეფექტური შედეგებით. უკვე მოხდა სიურპრიზები და სენსაციებიც კი. სიურპრიზთა კატეგორიის მივყავთვინებდით სსრ კავშირისა და რუმინეთის, ბრაზილიისა და შვეიცარიის, კოსტა-რიკისა და შოტლანდიის გუნდების შეხვედრათა შედეგებს, მსოფლიო ჩემპიონატის არგენტინელების მარცხი კი კამერუნის გუნდთან აშკარა და თვალნათელი სენსაციაა.

იმ მატჩებში, რომლებიც 11 ივნისამდე ჩატარდა, ფრეები გამოირჩეული იყო და მხოლოდ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა — ინგლისისა და ირლანდიის გუნდებმა გაიყვანეს თანაბრად ქულები — 1:1. ეს იყო მეტად საინტერესო, დაძაბული თამაში, ორივე გუნდი დაახლოებით ერთნაირი სტილით მოქმედებდა, ფეხბურთელები ერთნაირი სკოლის მიმდევარნი არიან, ამიტომაც



ინგლისი — ირლანდია. გარი ლინეკერის ამ დარტყმის შემდეგ ინგლისელებმა გახსნეს ანგარიში — 1:0 (საქინფორმის ტელეფოტო).

ხელი იყო რაიმე მოულოდნელობაზე ვარაუდი. ანგარიში დასაწყისშივე, მე-8 წუთზე გახსნა ინგლისელთა საუკეთესო ბომბარდირმა აარი ლინეკერმა, მერე ირლანდიელებმა ბევრი ძალა შეაღიეს, ბევრი იბრძოლეს და 72-ე წუთზე კევინ შიდიმ საპასუხო ბურთი გაიტანა.

ამავე ტურში საქმოდ მოულოდნელი შედეგით დამთავრდა კოსტა-რიკისა და შოტლანდიის გუნდების შეხვედრა. პროგნოზი შოტლანდი-

ელებს უქადა წარმატებას, რომელთა რიგებში ინგლისის საუკეთესო პროფესიული კლუბების მოთამაშეები გამოდიოდნენ, მაგრამ კოსტარიკელებმა ტოლი არ დაუდეს მეტოქეს, საუკეთესოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდევ ერთადერთი გოლი 48-ე წუთზე გაიტანა ხუან ასობი.

№ 333

მართული სპორტის დამოუკიდებლობისთვის

სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

გამიარტა საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ წესდების პროექტი. წესდების პროექტი გამოქვეყნებულია გაზეთ „ლელოს“ 5 ივნისის ნომერში.

პლენუმზე გამიარტა საინტერესო, საქმიანი საუბარი დამოუკიდებელი, ერთგული სპორტსაზოგადოების წესდების პროექტის გარშემო, რომლის მიღების შემდეგ სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“

ალარ იქნება საკავშირო საზოგადოების სტრუქტურაში, როგორც მისი ერთ-ერთი რეგიონალური ორგანიზაცია. წესდების მიღება კიდევ ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იქნება ქართული სპორტის სრული სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება: სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ რიგგარეშე ყრილობა მოიწვიოს მიმდინარე წლის 22 ივნისს. განისაზღვრა ყრილობაზე დელეგატთა წარმომადგენლობის ნორმა, დამტკიცდა ინსტრუქცია დელეგატთა არჩევის წესის შესახებ.



თბილისში ბავშვთა კალათბურთის სახალხოში ჩატარდა პირველი ერთგული ჩემპიონატი მკლავში ინვალიდთა შორის. სურათზე, რომელსაც გადავაზობთ, სწორედ ამ ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

წერილს საინტერესოდ ჩატარებული ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

დაამჯავრებლად...

ახალგაზრდა ქართველი კლასიკური სტილის მოქიდავეები, თბილისელი გელა პაპაშვილი და ონელი ნაბი დვალიძე საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან. ისინი 21-21 წლისანი არიან და ასეთ მაღალ სტატუსს, ცხადია, ახალგაზრდულ პირველობებში მოპოვებული წარმატებებით მიაღწიეს. დვალიძე შოფლიო ჩემპიონიც კი გახდა. და აი, მათ კვლავ დამტკიცეს, რომ ბალაო არ ჰყავთ თანატოლთა შორის — გაიმარჯვეს ახალგაზრდა (22 წლამდე ასაკის) მოქიდავეთა საკავშირო ტურნირში, რომელშიც საბჭოთა კავშირის 14 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.



შეჯიბრება ხაზაროვსკი ჩატარდა. იქ გელა პაპაშვილმა (მწვრთნელები — შალვა გაფრინდავილი და ოთარ ტატიშვილი) ყველა — ოთხივე მეტოქე დაამარცხა და უძლიერესი სახელი მოიპოვა 48 კმ წონის კატეგორიაში.

ასევე დამაჯერებელი იყო ნაბი დვალიძის (მწვრთნელი თემურ ყაზარაშვილი) გამარჯვებაც. იგი ფინალში თანაგუნდელს, ქუთაისელ გოჩა ბაძელაძეს შეხვდა. მათ პატიოსნად, ვაჟაკურად იჭიდავეს და ამ შეუპოვარ შერყინებაში, როგორც უკვე ვთქვით, პირველი ადგილი დვალიძეს დარჩა.

სხვათა შორის, გამარჯვებული შორის იყო ჩვენი კიეველი თანამემამულე ბახვა ჩხარტიშვილიც (90 კმ).

არაოფიციალური გუნდური პირველობის შედეგების მიხედვით ჩვენი ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. მას ამ ასპარეზობისათვის აზნალებდნენ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი მიხეილ სალაძე, ილია ჩხარტიშვილი, ოთარ ტატიშვილი, თემურ ნინიკური, ზაალ ყუბუსიძე.

სურათებზე: გელა პაპაშვილი (ზევით); ნაბი დვალიძე.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოების საბჭოს ოსტატის წოდება მიანიჭა:

კრივიში — რამაზ ფალიანს (მესტია, „შეგარდენი“);

კლასიკურ კილაობაში — ხვიჩა მეფარიშვილს (თბილისი, „მარტვი“), გიორგი ტინკველაშვილს (ქუთაისი, „შეგარდენი“), იმედა ხუჯაძეს (თბილისი, „დინამო“).

საბილარო ნიხტობობაში — თენგიზ დვალიშვილს (რუსთავი, „მარტვი“).

სიურპრიზები სტარტზე

აქ მომდინარე მოკლადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირის სტარტზე ქეთევან არახაძემ ერთობ წარუმატებლად იასპარეზა: პირველ სამ ტურში დამარცხდა პრუდნიკოვასთან, კახიანთან და გალიაიოვასთან. პირველი ქულა ჩვენმა დიდოსტატმა მეოთხე წრეში აიღო ბულგარელ ვოისკასთან გამარჯვებით.

ოთხი ტურის შემდეგ 3 ქულით ლიდერთა ჯგუფში არიან ჩელუსჟინა და კლიმოვა (ორივე — საბჭოთა კავშირი), აპურა (არგენტინა) და პეგვი (ჩინეთი). დაწინაურებულებს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ჩვენი მეორე თანამემამულე.

მულე ქეთევან კახიანი, რომელმაც სამი შეხვედრა (პოლონელ ბრუსტმანთან, უსკოვასთან და ჩელუსჟინასთან) ყაიმით დამთავრა, არახაძის კი, როგორც ზემოთ აღვნიშინეთ, აჯობა.

ტურნირში მონაწილეობს ცამეტ-მორის მსოფლიოს ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი, უნგრელი დიდოსტატი ილიკო მად-

ლი, გოგონათა შორის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ყაზანელი დიდოსტატი ალისა გალიაიოვა, სსრ კავშირის ჩემპიონი ირინა ჩელუსჟინა და სხვ.

მეხუთე ტურში არახაძემ კოლუმბიელი სოლაზარი დაამარცხა, კახიანმა კი მონღოლი ბატხენტემე.

საზონათშორისო ტურნირში გამარჯვებული და პრიზიორები 30 ივნისს გაიშვებიან.

საპარტევლოს სპორტსაზოგადოება

1992 წლის ბარხელონის ოლიმპიადისათვის საქართველოს სპორტსმენები უძველესი მწად უნდა იყვნენ, საამისოდ კი უძველესი ტრადიციული თავდადებული შრომა საჭიროა. ჩვენმა რესპუბლიკამ სწორედ ამ ოლიმპიურ ციკლში უნდა გამოავლინოს თავისი სუბალტის პოტენციური შესაძლებლობები — ასეთი იყო შთავარი თემა საკითხისა, რომელიც კოლეგიამ ვანხილთა მომავალი ოლიმპიადისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადებასთან დაკავშირებით.

ჩვენი სპორტსაზოგადოების სპორტის სახეობებისადმი ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციის პროცესს, კოლეგიამ ამჯერად განიხილა საწყლოსნო სპორტის სახეობათა რესპუბლიკური გაერთიანების შექმნის საკითხი: კიდაობისა და მძლეობის შემდეგ ეს უკვე მესამე გაერთიანება იქნება, რომელიც თავის ხელში აიღებს სპორტის საწყლოსნო სახეობებში მთელ საქმიანობას. კოლეგიამ გაერთიანების ავტონომიის უზრუნველყოფის გარანტიისათვის მთელი რიგი შესწორებები შეიტანა წესდებაში.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ტრადიციები გაღრმავდა-განმტკიცდა მთითხვეს, უძველესი კი ბავშვთა შორის მუშაობიდან იწყება. განიხილეს რეგერაციის მომზადების სრულყოფის გეგმა და კოლეგიის ამავე სხვადასხვა დასახეის მიხედვით ოლიმპიადის კონკრეტული გზები.

ქართული სპორტში გამოჩენილ ყოველ ახალ ტალანტს დროული მხარდაჭერა და სანადგომო პირდაპირი პერსპექტივა უნდა უზრუნველყოს. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად პერსპექტიულ სპორტსმენთა მართლად წახალისებას. ამჯერად კოლეგიის გადაწყვეტილებით რამდენიმე პერსპექტიულ სპორტსმენს დაენიშნა საქართველოს სპორტსაზოგადოების სტიპენდია.

ამას წინათ სპორტსაზოგადოების საფარმო კომპინატიში, დილით, როცა ხამუშაო ღვე დაიწყო, ერთ-ერთი საამქროში გაჩნდა ხანძარი, რამდენიმე ადამიანი დასახიარდა, ერთი მათგანი კი საავადმყოფოში გარდაიცვალა. არის დიდი მატერიალური ზარალი. საქმეს ძიებს პროკურატურა. სპორტსაზოგადოება იმთავითვე გამოყო საჯანგებო კომისია, რომლის შედეგებს კოლეგია განიხილავს.

კოლეგიის ამ სხვადასხვა განხილვის რესპუბლიკის ფიჭულტურულ-სპორტული მომართის რამდენიმე სხვა საკითხი, დამტკიცებს ნომენტატურული მუშაები.

საქართველოს სახელმწიფო მემორიალი რაგბიში

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 8 ივნისი.

სტუ (თბილისი) — „მინოს“ (თბილისი) 6:12 (6:0).

ამ თამაშის შედეგს უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: გამარჯვების შემთხვევაში „მინოს“ მეორე ეტაპზე გასვლის უფლებას ინარჩუნებდა. სტუს კი, მოგების შემდეგ, რეალური შანსი უჩნდებოდა ამ მიზნის მისაღწევად.

შესვენებამდე თამაში პოზიციურ-ტაქტიკური იყო — მეტოქეები სერიოზულ შერყენებით ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. „მინოს“ ნახევარდაცვის რაიონში ადრე აულო ალლო შექმნილ სიტუაციის და ნაწილობრივ დაამყარა კეშირის შერყენებას და უკან ხაზს შორის. ამასთან, სტუს მალე იმპროვიზაცია გაუკვირა, რომ დაზველა გარე ნახევარმცველს. გეგმავა და ტექნიკოსებს უშუალოდ თამაშის დროს მოუხდათ ტაქტიკაში კორექტივების შეტანა.

ორივე გუნდის დაცვის ხაზი საკმაოდ სწრაფად „ხურავდა“ მოწინააღმდეგის შეტევის ხაზს და ამის გამო სამეოთხედლებს უპირატესად ფეხით უხდებოდათ თამაში.

მეტოქეები ეპიზოდურად, თანაც საკმაოდ ინტენსივად უტყუებდნენ ერთმანეთს და ანგარიში არა და არ იხსნებოდა.

„მინოს“ ბოლო შერყენებასა და აუტო, ხოლო მოლეზა და რაქებში ინიციატივა მეტოქეს დაუთმო. ერთ-ერთი მოგებულ მოლის შემდეგ, სტუს მოკლე ფრთაზე შეტევაში ჩართო გარემარბი ბარბიშვილი, რომელმაც ლელო გაიტანა. გარდასახვა გამოიყენა კობახიძემ.

მეორე ნახევარიც სტუს შეტევებით დაიწყო, მაგრამ სტუდენტებმა ვერ მოახერხეს ლელოს გატანა — გადაწყვეტ მომენტში ან „მინოს“ დაცვა მოქმედებდა ყურადღებით, ან ტექნიკოსებს ლაბრატორია სიზუსტე.

ამასობაში მიმინოელებიც „გამოფხიზლდნენ“. კვაპანტირაძემ და ძნელაძემ, ორ-ორი ვაცუდებული საჯარომოს შემდეგ, მიზანს მიაღწიეს და ანგარიშიც გაათანაბრეს — 6:6.

სტუს ძალა მოიკრიბა და რამდენჯერმე მწვავედ შეუტია. აღსანიშნავია მათი შერყენების სიძლიერე.

ნიშნავია მათი ორი შეტევა საკუთარი 22-მეტრიანი მოედნიდან, რომლებიც „მინოს“ თავის ლელოსთან შეაჩერა.

თამაშის მიწურულს „მინოს“ შერყენების ნახევარმცველმა ჯანელიძემ დროულად გამოიტანა ბურთი მოლიდან, გასცა რამდენიმე მეტოქეს და გაიტანა გამარჯვების ლელო, რომელიც გარდასახა ძნელად. „მინოს“, ფაქტობრივად მეორე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 9 ივნისი.

„ასოციაცი“ (თბილისი) — „ზოროები“ (თბილისი) 30:19 (21:12).

გუნდებს განსხვავებული სტრუქტურით მდგომარეობა ჰქონდათ. „ასოციაცია“ აღმავლობის გზაზე და საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის, „ზოროები“ კი ბოლო მატჩები წარუმატებლად ჩაატარა და ეს შანსი დაკარგა.

პირველ ნახევარში თამაშის ტემპი ძალზე მაღალი იყო, მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა. ინიციატივას თავიდან „ასოციაცია“ დაუფლა — მისმა გამოცდილმა მოთამაშეებმა „კლასიკური რაგბის“ მშვენიერი ნიმუში გვიჩვენეს. ისინი ბურთს უმეტესწილად ხელით ათამაშებდნენ და მიზანსაც მიაღწიეს. მატჩის დასაწყისში გაბაძემ, კურატიშვილმა და გარუჩავამ ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა გვიანი შეიღწილ ლელო გაატანა. მალე გვიანი შეიღწილ თავის მოედანზე წამოიწყო შეტევა, რომელიც გააგრძელა დ. მამრიკიშვილმა და ლელოს გატანით დაასრულა მელაძემ.

შემდეგ ჯერი „ზოროებლებზე“ მიდგა. აგერ უკვე მერამდელედ, თამაშის გაძლიერდა ითავა ვეტერანმა ვანო ბახტაძემ, რომლის აქტიურობის წყალობით ორი ლელო გავიდა: პირველად ჭურჭულაშვილმა ისარგებლა მეტოქის მცველის შეცდომებით, მეორედ კი თავად ბახტაძემ დაასრულა გუნდის კონტრ-შეტევა. ორივე ლელო გარდასახა ცენტაძემ.

მეორე ტაიმში თამაში მდორედ წარიმართა და გუნდებმა თითო საჯარომო და ლელო გაიტანეს. ცი-



ნცაძემ და გაბაძემ შეაგდეს საჯარომოები, ასოციაციელმა ჭეიშვილმა მეტოქის მოედანზე ჩაჭრა შეტევა და ლელო გაიტანა, რამდენიმე წუთში კი „ზოროებმა“ იმარჯვა: ხუთმეტრიანი შერყენების შემდეგ ლელო გაიტანა ჩანჭელიანმა. აღსანიშნავია „ასოციაციის“ დამატკმელის ფარსმან გაბაძის კარგი თამაში. მან უკლებლივ ყველა ლელო გარდასახა და ოთხი საჯარომოც გაიტანა.

თბილისი. სსი-ს სტადიონი. 10 ივნისი.

„შეპარდენი“ (თბილისი) — „იმერეთი“ (ჭიბურძაძე) 3:12 (3:9).

შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. იმერეთელებმა პირველებმა მიაღწიეს წარმატებას: ჩაჭრილი ბურთი ხელში ჩაუვარდა წიწილაშვილს, რომელმაც ლელო გაიტანა. გარდასახვა შეასრულა ბ. ბურჯანიძემ.

შესვენებამდე გუნდების დამატკმელებმა ნ. იურიანი და ბ. ბურჯანიძემ თითო საჯარომო გაიტანეს — 3:9.

მეორე ტაიმში „შეპარდენს“ საჯარომო უპირატესობა ჰქონდა. თბილისელები ერთხანს მეტოქის მოედანზე „დასახლდნენ“ და მრავალჯერ შექმნეს სახიფათო სიტუაცია. მათი რამდენიმე შეტევა სტუდენტებმა შეაჩერეს, ხოლო მოწინააღმდეგის ლელოში შესულ ცირეკიძეს ხელიდან გაუვარდა ბურთი.

მატჩის მიწურულს ჭიბურძაძელებმა შეულოშვილმა ზუსტად დაარტყა საჯარომო და განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება — 12:3.


მეზავ რაბიშვილი.

27 მაისს მონტე-კარლოს ქუჩებში გაიმართა მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატის მე-4 ეტაპი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში.

გათამაშდა მონაკოს 49-ე „გრან პრი“ (1942-1990 წწ.). საკვალიფიკაციო რბოლის პირველ დღეს საუკეთესო დრო აჩვენა აირტონ სენამ. მეორე დღეც ვერავინ გაუწია მას მეტოქეობა და ბრაზილიელმა პილოტმა 45-ე საწვრთნელი რბოლა მოიგო, თან ტრასის ახალი რეკორდიც დაამყარა. მეორე დღევე ჰქონდა აღენ პროსტს. მესამე — ჟან ალფისი.

თავად რბოლა დრამატულად წარიმართა.

სტარტის შემდეგ, პირველი მოსახვევის გავლისას, აღენ პროსტმა გზა გადაუღობა გასასწრებად მომზადებულ გერპარდ ბერგესს და მათი ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახა. რბოლა შეჩერდა.



განმეორებითი სტარტი შესანიშნავად აიღო აირტონ სენამ და საკონტოლად დაწინაურდა. მის მიჰყვა ჟან ალფისი, რომელმაც ოსტატურად აუარა გვერდი ავტოსპორტის „გრანდებს“, პროსტსა და ბერგესს. მალე აღენ პროსტმა დაიბრუნა მეორე ადგილი და ასევე დაამთავრებდა რბოლას, რომელიც მწკრივით დასრულდა.

31-ე წრეზე ფრანგმა პილოტმა ბროლა შეწყვიტა.

ჟან ალფისი მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ მას დიდხანს კვალში ედგა გერპარდ ბერგერი. ახალგაზრდა ფრანგ პილოტს მუხხა ავსტრიელი მეტოქის შეტევის მოგერიება, რაც მან ბრწყინვალედ მოახერხა.

„ფორმულა-1“ ეპიზოდური შეხვედრები სიურპრიზები

მეოთხე ადგილს დიდხანს ინარჩუნებდა ნაიველ მენსელი, მაგრამ ისიც გამოეთიშა ასპარეზობას. საერთოდ, 26 ავტომობილიდან ფინიშამდე მხოლოდ 7-მა მიაღწია. აირტონ სენამ მეორე გამარჯვება იზიარა წელს, მესამე — მონაკოში, საერთოდ კი — 22-ე. „მაკლარენისთვის“ ეს იყო 82-ე „გრან პრი“.

მთელი დისტანცია (77 წრე) აირტონ სენამ დაფარა 1 საათში, 52 წუთსა და 46,982 წამში.

მან ტრასის რეკორდიც დაამყარა, რომელიც მე-14 იყო მისთვის (1 წუთი, 24,468 წამი; საშუალო სიჩქარე — 141,838 კმ სთ).

ეტაპის საბოლოო შედეგი:

- 1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-პონდა“) — 9; 2. ჟან ალფისი (საფრანგეთი; „ტირელ-ფორდი“) — 6; 3. გერპარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-პონდა“) — 4; 4. ტერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 3; 5. ალექს კაფი (იტალია, „ეროუზ-ფორდი“) — 2; 6. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა-ლამბორგინი“) — 1 ქულა.

მდგომარეობა 4 ეტაპის შემდეგ ასეთია:

- პირადი ჩათვლა: 1. აირტონ სენა — 22; 2. გერპარდ ბერგერი — 16; 3. ჟან ალფისი — 13; 4. აღენ პროსტი — 12; 5-6. რიკარდო პატრუჯე, ტერი ბუტსანი — 9-9; 7. ნელსონ პიკე — 6; 8. ალესანდრო ნანინი — 4; 9. ნაიველ მენსელი — 3; 10-11. სტეფანო მოლენა, ალექს კაფი — 2-2; 12-13. სატორუ ნაკაპიზა, ერიკ ბერნარი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

- 1. „მაკლარენი“ — 38; 2. „უილიამსი“ — 18; 3. „ფორდი“ — 15; 4. „ტირელი“ — 14; 5. „ბენეტონი“ — 10; 6-7. „ბრეგემი“, „ეროუზი“ — 2-2; 8. „ლოლა“ — 1 ქულა.

ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი გაიმართა 10 ივნისს, კანადაში, ეილ ვილნევის სახელობის ტრასაზე.

დავით ჩუბინიძე.



საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე დღის სწავლება

დღის სწავლებაზე მიღება იწარმოებს სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, ცურვა, წყალში ხტომა, ნიჩბოსნობა, წყალბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, მავადის ჩოგბურთი, ხელობურთი, რაგბი, ლელობურთი, ქართული ჭიდაობა, კლასიკური და თანამედროვე ჭიდაობა, ძიულა (ვაეუბი და ქალები), სამბო, კრივი, ფარიკაობა, ტყვიის სროლა, სანტენდო სროლა, მშვილდოსნობა, თანამედროვე ხუთქილი, ცხენოსნობა, სათხილამურო სპორტი, კლდეზე ცოცხა, მკლასპორტი, ძალოსნობა-ათლეტიკაში, კუარჯაი.

დღის განყოფილებაზე მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი. საკვალიფიკაციო II სპორტული თანრიგი სპორტის არჩეულ სახეობაში. გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: საერთო ფიზიკური მომზადება, სპორტის არჩეული სახეობა, ბიოლოგია (ზეპირი), მემოლოგიური ენა და ლიტერატურა (წერა). მათ, ვინც საშუალო სკოლა მშობლებზე დაამთავრეს, აგრეთვე აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური ან პროფტექნიკური სასწავლებელი (რეაწლიანი განათლება) წარჩინებით, აბარებენ გამოცდას სპორტის არჩეულ სახეობაში და ფიზიკურ მომზადებაში. იმ შემთხვევაში თუ ამ საგნებში შეფასება „ხუთი“ დამსახურეს, თავისუფლდებიან გამოცდებისაგან.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე მწვრთნელისა და ორგანიზატორის სპეციალური კონსულტაციები მიიღებიან მათ, ვინც საშუალო სკოლა მშობლებზე დაამთავრეს, აგრეთვე აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სპეციალური ან პროფტექნიკური სასწავლებელი (რეაწლიანი განათლება) წარჩინებით, აბარებენ გამოცდას სპორტის არჩეულ სახეობაში და ფიზიკურ მომზადებაში. იმ შემთხვევაში თუ ამ საგნებში შეფასება „ხუთი“ დამსახურეს, თავისუფლდებიან გამოცდებისაგან.

ტორის სპეციალობაზე ასაკის განუსაზღვრელად მიიღებიან მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ III სპორტული თანრიგი ნებისმიერ სპორტის სახეობაში და ინსტიტუტის პროფილით მუშაობის სტაჟი არანაკლებ 6 თვისა. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები, საერთაშორისო და სსრ კავშირის სპორტის ოსტატები, სსრ კავშირის და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზირებულნი (პირველი სამი წლის მანძილზე) სარგებლობენ იმ პირობით უფლებებით, რომელიც აქვთ პროფილით მუშაობის გამოცდილებით. დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები ჩატარდება: საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ბიოლოგიაში (ზეპირი) და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ფიზკულტურის ტექნიკურისა და მწვრთნელთა სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი აბარებენ ერთ გამოცდას საერთო ფიზიკურ მომზადებაში (ცურვის ჩათვლით) და შეფასება „ხუთის“ მიღების შემთხვევაში თავისუფლდებიან გამოცდებისაგან.

ამავე უპირატესობით სარგებლობენ ის პირები, რომლებსაც სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს (ვერცხლის) მედალები, ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით და აქვთ პროფილით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი ან დემობილიზირებულნი არიან საბჭოთა არმიის რიგებიდან (დემობილიზაციიდან სამი წლის მანძილზე). სოფლის სასწავლო, სკოლაშენი და სკოლის გარეშე დაწესებულ ბუნების მუშაუბები (მასწავლებლები, ამზრდებლები, მასობრივი მუშაობის ორგანიზატორები), რომელთაც აქვთ სოფლის სასწავლო დაწესებულებებში დაკავებული თანამდებობაზე მუშაობის არა ნაკლებ 2 წლის სტაჟი (1990 წლის პირველი სექტემბრისათვის) და რომელთა ასაკი არ აღემატება 35 წელს ჩაირიცხებიან გამოცდების გარეშე (მასწავლებლის სპეციალობაზე) გასაუბრების შედეგების მიხედვით. გასაუბრება ჩატარდება ორ საგანში: ბიოლოგია და სპეციალობა (სპეციალობაში გასაუბრება შეცვლილია ფიზიკურ მომზადებაში არსებული ნორმატივების ჩაბრუნებით, ცურვის ჩათვლით). აღნიშნული კატეგორიის აბიტურიენტებისაგან საბუთების მიღება იწარმოებს 15 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით. გასაუბრება ჩატარდება 27, 28, 29 ივნისს. დაუსწრებელ განყოფილებაზე მასწავლებლის სპეციალობით ზემოაღნიშნული კატეგორიის გასაუბრებით ჩაირიცხებიან შემდეგ დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე ჩაირიცხვა მოხდება საერთო წესით (მისაღები გამოცდების შედეგად).

ინსტიტუტში შემსვლელმა ყველა აბიტურიენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს: საბუთი საშუალო განათლების შესახებ დედანი (ჩანართან ერთად), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმთავის ვინც მუშაობს), სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთი, 6 ფოტოსურათი (3X4), პასპორტის წარმოდგენს პირადად. საბუთების მიღება იწარმოებს 25 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით. გამოცდები ჩატარდება 16 ივლისიდან. დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში. ინსტიტუტის მისამართი: 380062 თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 49. ტელეფონი: 29-37-62, 23-03-75.

„სპორტპროგნოზი“

ბაართინაშვილი „სსიფსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 22-ე ტრიაჟის შედეგები.

ტრიაჟში დაშვებულია 1.890.943 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (172 მოგება 164 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2.619) — 21, 11 შედეგის გამოცნობისთვის (18.651) — 10.

საქართველოში: დაშვებულია 93.909 ვარიანტი. 13—3, 12—6, 11—549. 22-ე ტრიაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 23 ივნისიდან 23 ივლისის ჩათვლით.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

14 035010 თბილისის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება ამხანაგური — საჩვენებელი მატჩი ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ოლბანის (მასაჩუსეტის შტატი) ქალთა ფეხბურთის გუნდსა და თბილისის „ივერიას“ შორის.

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

თამაში საქველმოქმედო, შემოსული თანხა გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში. მატჩის ორგანიზატორები არიან: უცხოეთის ტურიზმის საქართველოს გაერთიანება და რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი. კორექტორები მ. ძეძიძე და ე. ხომერიკი.

გაზეთის მისამართი: ვარკეთილის რაიონი — 380062, თბილისი, 2. კობახიძის ქ. 14, ექსპრესბუთების — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ბალკონებში: წერილებს განყოფილება — 22-37-55, სამაგალი — 22-37-52, ინფორმაციის განყოფილება — 22-37-52, „მერიამი“ — 22-37-28, „მანათი“ — 22-37-27.

82550 054030 86435

საქართველოს კვ. ცვ. ან. გამოცემის შრომის წყალობით დროის რაოდენობა შეადგენს 220000, თბილისი, 2. კობახიძის ქ. 14. აბრეშვიტის რაიონის სახელმწიფო კორპუსში: ხაზარაულის, 28. ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100 08 779